# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 284

„13" სექტემბერი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე 1135 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.019) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაგისთვის" (ს/ნ: 405194597) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე 1135 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.019) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაგისთვის" (ს/ნ: 405194597) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 14 აგვისტოს №19.870.1117 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე 1135 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.019) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაგისთვის" (ს/ნ: 405194597) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 850 (სამი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე